ნახ. ჯ. ლოლუაშვილი

№ 17 (1411) სექტემბერი 1973

— შეხედე, უკვე მერამდენეჯერ გვჭრის თავს —
გამოცდაზე ეს მუტრუკი!

ნიანგი

გამოცემის 50-ე წელი ფასი 20 კაპ.

ფიქრობენ

განყოფილების უფროსი თავის მაგიდასთან იჯდა და ფიქრობდა.

„საინტერესოა, რაზე ფიქრობს სამუშაო საათებში?.. ალბათ, ფიქრობს, რომ არავინ არაფერზე არ ფიქრობს, — გავიფიქრე მე, — საინტერესოა ჩემზე რას ფიქრობს?..“

განყოფილების უფროსს გავხედე. დაჟინებით მომჩერებოდა ვიგრძენი, რომ ჩემზე ფიქრობდა...

„საინტერესოა, რას აკეთებს?“ — გაიფიქრა მან.

„ვფიქრობ“. — გავუფიქრე მე.

„რაზე ფიქრობ სამუშაო საათებში?“ — გამიფიქრა მან.

„მანქანის კვანძზე ვფიქრობ“. — გავუფიქრე მე.

„ნუ ტყუიხარ! შენ ფიქრობ, რომ მე ვფიქრობ იმაზე, რომ არავინ არაფერზე არ ფიქრობს. მე ვერ მომატყუებ!“ — გადმომიფიქრა მან.

„თავი ჩემია და, რაზეც მინდა, ვფიქრობ“. — გადავუფიქრე მე.

„სამუშაო საათებში სხვა რამეზე ფიქრი აკრძალულია!“ — გამიფიქრა მან.

„თქვენ რომ სხვა რამეზე ფიქრობთ?!“ — გავუფიქრე მე.

„ეგ ჩემი მოვალეობაა, ვიფიქრო, რომ სამუშაო საათებში თქვენ არ იფიქროთ სხვა რამეზე! სჯობს, სხვა რამეზე ფიქრს თავი დაანებო და ნახაზზე იფიქრო, თორემ კვარტალი თავდება, გეგმა არ შეგვისრულებია და პრემიას ვერ მივიღებთ!“ — გამიფიქრა მან.

„მე ვმუშაობ, პრემიას კი თქვენ იღებთ!“ — გავუფიქრე მე.

„ეგ შენი საქმე არაა! დაჯექი და იმუშავე!“ — გამიფიქრა მან.

„ნუ ყვირიხარ! შენი არავის არ ეშინია!“ — გადავუფიქრე მე.

„საყვედურს გამოგიცხადებ!“ — გადმომიფიქრა მან.

„ფეხებზე მკიდია შენი საყვედური!“ — გავუფიქრე მე.

„მოგხსნი!“ — გამიფიქრა მან.

„მოხსნა რომ ადვილი იყოს, შენ დიდი ხანია მოგხსნიდნენ!“ — გავუფიქრე მე.

„უკანასკნელად გაფრთხილებ, სხვა რამეზე ფიქრს თავი დაანებე და ნახაზზე იფიქრე!“ — გადმომიფიქრა მან.

„გინდა, გულახდილად გითხრა, რას ვფიქრობ შენზე?“ — გადავუფიქრე მე.

„?..“

„სქელტანიანი კრეტინოზავრი ხარ!“ — გავუფიქრე მე.

„მე შენ გიჩვენებ!.. — გამიფიქრა მან.

„ვის აგინებ, შე პითეკანტროპო?!..“ — გავუფიქრე მე, ფეხზე ავდექი, მაგიდიდან მძიმე პრესპაპიე აკიღე და განყოფილების უფროსს თავში ვთხლიშე.

„ასე გინდა შენ!“ — გავუფიქრე მე.

მან საერთოდ დაანება თავი ყველა ფიქრს...

ს. ჟივიძე

სოციალისტურ შეჯიბრებაში ხშირად ვაწყდებით ფორმალიზმს: მაგალითად, თელავის რაიონი ერთდროულად ეჯიბრება ხუთ რაიონს: სომხეთის ეხეგნაძორის რაიონს, აზირბაიჯანის სალიანის რაიონს, ზესტაფონის, ყვარლის, გურჯაანის რაიონებს, უკრაინის ვინიცის ოლქს და კიდევ ვინ იცის ვის რა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი



— მიხო, იქნებ ერთი-ორი რაიონი გაიხსენო კიდევ!

როგორის ხარ, ბიჭო შენ?

(პიესა ერთ მოქმედებად)

— შეიძლება, ბატონო?

— შემოდი!

— მე ის გახლავართ, ბატონო, რომ დაგირეკეს...

— რა ვიცი მე, ვინ დამირეკა?! მე აქ დღეში ათასი მირეკავს და ათას ხუთასს ვურეკავ! აბა, ტყუილად კი არ ვზივარ აქ!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, ტყუილად კი არა, უზარმაზარ ხელფასს იღებთ... დიახ, მე ისა ვარ, ამხანაგო ბატონო, ამხანაგმა პარმენმა რომ გთხოვათ...

— ჩემმა ყოყმანოვიჩმა, კაცო?! მასე გეთქვა თავიდანვე!.. გამარჯობა, აბა, შენი! რა მთხოვა პატივცემულმა პარმენმა? შემახსენე ერთი!..

— ჩემი სამსახურში მოწყობა გთხოვათ და თქვენც ქე შეპირებიხართ: „თქვენი ხათრით რას არ ვიზამო...“ რა ვიცი, ასე მითხრა მე, შენ მიდი და მეტი არაფერი გინდაო...

— რა მოგახსენოთ, ბატონო, მაგი გამიჭირდება, ალბათ...

— ვითომ რატომ?

— რატომ, ბატონო, და, ნამეტანი ბევრს ეზიდებით სახლში და გავწყდები წელში ამდენი სიმძიმის თრევით.

დირექტორი სავარძელში შეხტა და მაგიდას დაარტყა ხელი:

— ჰაიტ!.. არ გამოდგები შენ სამსახურში! უფროსი შენ არ გცოდნია და უმცროსი. ძალიან ხათრი მაქვს პარმენ ყოყმანოვიჩის, მარა შენი მიღება გამიჭირდება, ვატყობ. ვინ მომცა იმის უფლება მე, რომ ჩემდამი რწმუნებულ ობიექტზე შენისთანა უქნარები მივიღო და აწყობილი საქმე გავაფუჭო, შრომის დისციპლინა შევასუსტო, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება გავაძვირო, სახელმწიფო დავალებათა შესრულების მდგომარეობა საფრთხეში ჩავაყენო, საერთო საქმის ძირგამომთხრელი მუშაობის საშუალება მოგცე...

— რას მერჩით, ბატონო, ჯერ მუშაობა არ დამიწყია და ამდენ რამეს მაბრალებთ, დივერსანტი გამოგყავართ...

— დივერსანტზე უარესი! ინტრიგანი ხარ შენ! (შეეცადა დაცხრომას) — რა გიყო ახლა მე შენ?... გაგიშვა უკან, უნდა ვაწყენინო იმ კაცს, არ გაგიშვა, მიგიღო სამსახურში და მაგი იგივეა, ბომბი რომ ამოიდო ბალიშქვეშ!.. ჯანდაბას შენი თავი. მიგიღებ, ოღონდ უნდა გამოსწორდე, იცოდე!

— გმადლობთ, ბატონო, უღრმესად გმადლობთ!..

— შენი მადლობა შეინახე შენთვის. (თითს აიშვერს) ჩემს პატივცემულ პარმენ ყოყმანოვიჩს უმადლოდე ამას... (ტელეფონს დაწვდა და კადრებში დარეკა...) სევასტი ყოყმანოვიჩის კაცი უნდა მოაწყო! ჰო, ჰო, არ უნდა ახლა ამას ყოყმანი! მომისმინე!.. მე მოგისმინო?.. რაო?.. აგაშენა ღმერთმა!.. მოუხსნიათ შენი გამოტვინებული ყოყმანოვიჩი... აბა, ახლავე მოუსვი აქედან, მარშ!.. შენი ბურდღა არ ვნახო აქ!.. მეტი საქმე არ მაქვს, პარმენას ჭკუაზე ვიელი სწორედ!

თამაზ სალუქვაძე

— ასე გითხრა, ხომ? ბრძენია, ბრძენი ჩემი პარმენი, რა ხელმძღვანელი, რა მუშაკი, რა მოღვაწე, რა კაცი... რა ხარ, ბიჭო, მისი შენ?

— მე, ბატონო, პარმენ ყოყმანოვიჩის მკვიდრი მეზობელი და მისი მიმდევარი გახლავართ.

— მიმდევარი!. რა მიმდევარი? ყოყმანოვიჩი ლექსებს არ წერს და რომანებს, მეცნიერული მუშაობისაგანაც ჯვარი სწერია; შენ წერ ლექსებს თუ?

— აჰ, არა, ბატონო!

— აბა რომანებს, ხომ?

— რავა გეკადრებათ, ბატონო! (შეიცხადებს): ღმერთო მომკალი, რა შემატყვეთ მასეთი?!.

— აბა, რის მიმდევარი ხარ, გამაგებინე ერთი, თუ კაცი ხარ?!

— რისა, ბატონო, და, სახლში რომ ბრუნდება, მუდამ მე მივდევ კარებამდე... ჯერ ერთი, მე მიხარია, მასთან ერთად რომ მხედავს ხალხი, მერეა და, მასაც უხარია, ბაზრიდან დატვირთული რომ ბრუნდება და მის მაგივრად მე რომ ვთრაქავ ტვირთს, მესამე კიდევ, ხალხსაც უხარია, იცინის და პარმენ ყოყმანოვიჩის მიმდევარი შემარქვეს მეზობლებმა...

— ხი-ხი-ხი-ხი... აბა, ყველას გიხარიათ, ხომ?.. ხი-ხი-ხი-ხი, მიმდევარი, ხომ? დასდევ, აბა, კუდში?!.. ასე რომ, ერთგული კაცი ჩანხარ, ახლა, სამუშაოზე რომ მიგიღებ, ჩემი მიმდევარიც გახდები, ხომ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარიკატურული მინიატურები

ღია გარათი, ქ. თბილისის „თელასის“ ორჯონიკიძის რაიგანყოფილებას

სინათლის წყარო
მრავლობს,
მრავლობს,
მრავლობს და... ამ დროს
ანთებულ სანთლის ლოლიავით
გვეწვის ხელები!...
ელექტროჭაღმა, თუნდ ქორწილზე,
არ გვიღალატოს, —
რომელ ხუთწლედში ვეღირსებით
ვ ე ძ ი ს ე ლ ე ბ ი?!

არ იყიდოთ ავტომობილი!

ტრანსპორტის მადლი დღეს საქვეყნოდ
არის ცნობილი!
(იმით დავლაშქრეთ მთვარე სათნო,
ნაზი და ჩუმი)
და მაინც გირჩევთ,
არ იყიდოთ ავტომობილი,
თორემ გაგყიდით
ავტოპროფილაქტორიუმი!

წუნისმკეთებლებს

მაღაზიაში პროდუქცია
უცხოურ მარკით,
მდარეც რომ იყოს,
მყიდველს მაინც ჰგონია კარგი.
მეწარმეებო,
სანამ უნდა იყოთ ბრიყვები? —
შემოიტანეთ
უცხოური იარლიყები!

ჭიშვარდ ისაკაძე

ნყალნი ნავლენ და ნამოვლენ..

მინი-პოემა

თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, სახლი № 17

ამ მისამართით, ნიანგო,
გვინდოდა თქვენი მოწვევა,
გვინდოდა, გულით გვინდოდა,
მთელი უბანი მოწმეა!
გვსურდა, საკუთარ თვალითა,
გენახა სახლის სარდაფი,
გენახა, თუ რა დღეშია,
ხალხის ამაგი, ნაჯაფი.

I

შარშანდელ წყალდიდობისას
ვერ გავუძელით ნიაღვარს,
ის ქვა და ღორღით შოადგა
სარდაფის ფართო, ღია კარს.
ნაგავი ბლომად ჩაზიდა,
აატორტმანა ტალღები,
ვენეციურად ვცხოვრობდით
ვაჟი, ქალი და ბალღები...

II

„წყალნი წავლენ და
წამოვლენ...“ —
არის ასეთი ნათქვამი.
წყალი მართლაც და წავიდა,
დაგვრჩა ღორღი და ნაგავი.

იუ. გენავა

იურიდიული

...

კითხვა: მშობლებმა მომაწყვეს ინსტიტუტში საღამოს დასწრებულზე, გამაფორმეს სამუშაოზე, მეხმარებიან კურსიდან კურსზე გადასვლაში, მაგრამ არ ყიდულობენ მანქანას. მართალი არიან თუ არა ჩემი მშობლები?

ბუთხუზ ჯახაია

პასუხი: მართალი არიან, რადგან შენ ხელით სათრევი ყოფილხარ და არა მანქანით!

* * *

კითხვა: ვწერ დისერტაციას. ზოგიერთ ძირითად დებულებებს ვიწერ საკუთარი მამისა და საკუთარი სიმამრის (ორივე პროფესორია) ნაშრომებიდან. მაინტერესებს, ხომ არ ჩამეთვლება ეს პლაგიატობად?

აბიბო აბდალაძე

პასუხი: არ ჩაგეთვლებათ! უფრო მეტიც, დაცვაც არ დაგჭირდებათ რადგან არავინ შეგედავებათ!

* * *

კითხვა: ალიმენტის გადახდა შევწყვიტე, რადგან ბავშვი რომ წამოიზარდა, დავრწმუნდი, რომ იგი მე არ მგავს. გთხოვთ, განმიმარტოთ, სწორად მოვიქეცი თუ არა?

ნ. უმგვანოშვილი

პასუხი: არ მოიქეცით სწორად! ის ფაქტი კი, ბავშვი რომ თქვენ არ გგავთ, დიდი ბედნიერებაა!

კითხვა-პასუხი ჩაიწერა

გ. ბახტაიამ.

— დედი! რაღა ჩემი მაღაზიის კარებთან მოიკალათე, ხომ ხედავ, კაციშვილი აღარ მეკარებაა?!

— არავინ არ მისმენთ, ამხანაგებო! ენას ასაც კი მოვიზახან!

...ეროს ...ეროს

ამ ქვეყანაზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

ჯოდა, მოხდა ერთი მეტად უცნაური შემთხვევა:

ერთი გაქნილი, უსახელო წერილების წერაში საოცრად ხელგაწაფული ანონიმი დანიშნეს ერთ-ერთი დაწესებულების უფროსად.

მოხდა კიდევ უფრო გაუგონარი ამბავი: მას თანამშრომლებად დაუნიშნეს მასზე არანაკლები ხელგარჯვი ანონიმები.

როგორც კი თავი მეიფარეს და ერთმანეთს მტრიზავი თვალი შეავლეს, იმ წამსვე მიხვდნენ, თუ რა ხეითოებიც იყვნენ.

ბევრი არც უფიქრიათ. მაღუოდან დაუწყეს ერთმანეთს თვალთვალი. სულ კოჭებში შეჰყურებდნენ ერთმანეთს. დილიდან საღამომდე ენაჩაგარდნილები რადაც ნაწერებს ჩაჰკირკიტებდნენ. რიცა ერთმანეთს ეგრაფერი უნახეს, ბოღმანარევი ოხერა დაიწყეს...

უფროსმა კარგად იცოდა, თუ რა ცეცხლი სწვავდა ქვეშევრდომებს და უფრო და უფრო ფრთხილობდა.

მაგრამ ერთ კვირამატ ღღეს მაინც დაუშვა საბედისწერო შეცდომა: მუშაობით დაღლილ-დაკანკალებულ ძილი მოუნდა და ერთი მაფიანად დაამთქნარა. რიცა ბანჯღნებივით მიშვებული თვალები შენიშნა, კაცი გაშრა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

თანამშრომლებმა უმალ გადახედეს ერთმანეთს და უსიტყვოდ მიხვდნენ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ.

მეორე ღღეს ზემდგომ ინსტანციაში ერთბამად შევიდა უსახელო წერილები იმის შესახებ, რომ უფროსი ღამით ჯიბეკრებთან დაკეთრეოდა და ბნელ საქმეებში მონაწილეობდა, სამსახურში კი თანქარავაზმორების მტაკს არაფერს აკეთებდა.

მაგრამ უფროსი რა ბიჭი იყო, რამეში შემცდარიყო! ადგა და უმალ ყველას ერთად დაუწერა შემხედვარი უსახელო წერილი.

მერე ქვეშევრდომებმა ისევ დაუწერეს უფროსს.

უფროსმაც არ დააყოვნა და ახლა დედაბუდიანად ამოაკვერკვილა ქვეშევრდომები.

შემდეგ ანონიმურ წერილებში უფროსისათვის ცხრასართულიანი გინებაც აღარ დაუკლიათ...

ასე უწერეს და უწერეს ერთმანეთს.

ერთ ღღეს, როცა კომისია კვლავ მოვიდა და ათიოდე გაშაშლიდენი ანონიმური წერილი წინ დაუწყვეს უფროსმა ხელები უმწეოდ გაასავსავა, ერთი მწარედ ამოიოხრა, თვალები დასაკლავი ხარივით გადაატრიალა და სული განუტევა.

ახალი უფროსი ხომ იყო საჭირო?!

ადგნენ და ახლა თანამშრომლები მიდგნენ ერთმანეთს. უმღერდნენ, უღარუნდნენ, კიხდნენ, ჭამდნენ ერთმანეთს, იმდენი უწერეს და უწერეს ერთმანეთს, ზოგმა თავი ჩამოიხრჩო, ზოგს გული გაუსკდა, ზოგს დამბალი დაეცა და ენა ჩაუვარდა, ზოგი საგიჟეში გამოამწყვდიეს და ზოგიც ნადირივით გატყიეურდა...

ეჰ, ნეტავი, ყველა „ანონიმშჩიკი" ერთ დაწესებულებაში მუშაობდეს!

ს. ზარიძე

— კრებაზე, რომ შემჯავმ, სიტყვა მომეცით, უთხარი ახლა ამ ხულიგანს ერთი-ორი სიტყვა!

...ეროს ...ეროს

...ეროს ...ეროს

...ეროს ...ეროს

...ეროს ...ეროს

...ეროს ...ეროს

...ეროს ...ეროს

...ეროს ...ეროს

...ეროს ...ეროს

...ეროს ...ეროს

...ეროს ...ეროს

...ეროს ...ე�როს

...ეروس ...ეروس

...ეروس ...ეروس

...ეروس ...ეروس

670
2. IX 73.

სმიტის რასისტული რეჟიმის არსებობა პირდაპირი შედეგია. იმ ნებისა და მფარველობისა, რომელსაც ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყანა და განსაკუთრებით ინგლისი ანხორციელებს როდეზიის მიმართ.

ნახ. გ. ლომბიძისა

როდეზიული შავი ყვავილი.

არცთუ ისე იშვიათი შემთხვევა ნაკრძალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრძალში, იმ ბოლო ბრძანების კითხვაში,
გართულნი რომ იყვნენ მხეცები,
როდესაც მგელმაც კი შეიცნო, გაიგო
ცხოვრების ჯანსაღი წესები,

როდესაც, უმაღლეს სამართლის წყალობით,
წესრიგი ისწავლა რეგვენმაც,
ხოხბების აფრენილ გუნდს, ორი გასროლით,
ტყვია დაადევნა ეგერმა.

გაუჭრა ნასროლმა: დაეცნენ სწორედ იმ
გაკრული ბრძანების დაფაზე
და, მერე, ნერწყვიან ტუჩების ცმაცუნით,
შემოსდო გაქონილ ტაფაზე.

ჩახოხბილს უცდიდა... და, როცა ბოთლიდან
ჭიქაში კახური დაისხა,
უეცრად, როგორც იმ ათას ერთ ზღაპარში,
ტაფიდან ჩურჩული გაისმა:

„რა ჭქენი, უფროსო?! ეგ არის ის შენგან
ნაქები სინდისი, ნამუსი?!
მოგენდეთ და შენ კი, მაგ მუცლის გულისთვის,
ყველაფერს წერტილი დაუსვი!

შენ თუ არ დაიცავ წესებს და კანონებს,
ჩვენ ვისგან ავიღებთ მაგალითს?!
შენც იცი, ჭადარი მაშინ არ გახმება,
როდესაც ფესვი აქვს მაგარი!“

ისმინა ეგერმა და, როცა ამ ამბის
მოწმედ ვეღარავინ შენიშნა,
ყურს იქით წაიღო ის სამართლიანი
ხოხბების ნათქვამი შენიშვნა.

ან კი რას იტყოდა სინდისის გულისთვის,
სინდისი თუკი არ გაჩნდა?
მივიდა ტაფასთან და პასუხისათვის
ხახვი ზედ ყურებზე დაჭრა...

ასეა ურცხვი და ადგილით მოვაჭრე:
არავის არაფრად არგია!
ზოგ ნაკრძალს მართლაც რომ კონტროლი
სჭირდება!
კონტროლის კონტროლიც კარგია!

ვალერიან მამუკელაშვილი

„ძარგად“ შენახული ნივთები ფოთში

ნათქვამია, მიბარებული მგელმა შეინახაო, მაგრამ ამ შემთხვევაში, მგელს მგლობას ვერ დავაბრალებთ... ფაქტი კი ჯიუტია: 1965 წლის 21 აგვისტოდან დღემდე ქ. ფოთში ლენინის ქ. № 11-ში მიტოვებულ საკუჭნაოში დევს 2704 მანეთის ღირებულების საოჯახო ნივთები. ნივთები მართლაც ისეა მიკუჭნავებული, მის აღდგენაზე ან მოხმარებაზე ლაპარაკიც სიცილს იწვევს (თუმცა სასაცილო არაფერია).

ქ. ფოთის პროკურატურის 1965 წლის 6 ივლისის დადგენილებით იმავე წლის 21 აგვისტოს გამოსახლებულ იქნა საცხოვრებელი ბინიდან ქ. ფოთის № 1 პოლიკლინიკის ექთანი **ლ. გ. შონია.** რამდენად სწორი და სამართლიანი იყო მისი გამოსახლება, ამის გარჩევას ახლა არ შეუუდგებით, მაგრამ ისევ ფაქტი ჯიუტობს: იგივე ლ. გ. შონიას მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მიეცა უფლება ჩასახლებულიყო იმ ბინაში, საიდანაც გამოასახლეს. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება გამოსახლებისა და ჩასახლებისა კარგად არის დაწერილი, მაგრამ საქმე ისაა, რომ პირველი და ბოლო დოკუმენტის შექმნის თარიღებს შორის ვადა უდრის 3 წელსა და 4 თვეს.

ამ ხანის განმავლობაში ლ. გ. შონიას მრავალი საჩივარი და განცხადება აქვს გაგზავნილი ზემდგომ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და პრესაში. ბოლოს და ბოლოს, გათვალისწინებულ იქნა ყოველივე, რისი გათვალისწინებაც შეეძლო ქ. ფოთის პროკურატურას გამოსახლებამდეც და საოჯახო ნივთების განადგურებამდეც.

„მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ მოქ. ლუბა გაბრიელის ასულ შონიას აქვს ცუდი ოჯახური პირობები. ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში, არის ხანდაზმული და ავადმყოფი; ზრდის ნაშვილებს, როგორც გამონაკლისი დაკმაყოფილებულ იქნას მისი თხოვნა... და ჩასახლებული იქნას სადაო ბინაში“ — ვკითხულობთ 1968 წ. 13 ნოემბრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებას № 13/389.

თითქოს ყველაფერი გამოსწორდა, მაგრამ საოჯახო ნივთებს ვინ აღადგენს? ვინ ჯუნაზღაურებს ლ. შონიას ზარალს?

ამ კითხვაზე პასუხი გასცა ქ. ფოთის სახ. სასამართლომ .თავისი 1970 წლის 10 ივლისის განჩინებით, სადაც ნათქვამია, რომ სარჩელი წარმოდგენილია ხანდაზმულობით და არაა შეფასებული.

ახლა გავეცნოთ სხვა დოკუმენტსაც:

„აქტი. 1972 წლის 18 თებერვალი. ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის და სახალხო კონტროლის ფოთის საქალაქო კომიტეტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ... შევამოწმეთ ადგილზე ლ. შონიას დალუქულ მდგომარეობაში შენახული საოჯახო ნივთების ვარგისიანობის მდგომარეობა... და დადგინდა: 1965 წლის 21 აგვისტოს ლ. შონიას ბინიდან გამოტანილი და საკუჭნაოში შენახული საოჯახო ნივთები ხმარებისათვის სრულიად უვარგისია და ექვემდებარება განადგურებას (აქტში აღნიშნულია 154 დასახელების საოჯახო ნივთი).

ამ აქტზე დართულია 1965 წლის 21 აგვისტოს შედგენილი აქტი...“

დოკუმენტს ხელს აწერს კომისიის 9 წევრი.

საკითხავია სად წაიღოს ლ. შონიამ ეს აქტი, ან რომელი საოჯახო ნივთის მაგივრად იხმაროს?

ჟანი სიხარულიძე

ნახ. ი. ჭოკიაშვილისა

— ე, ბიჭო, მეკარეს რომ ვეძებდით!..

ნიანგის ყბაში

კომბინატორმა სასამართლოზე საბოლოო სიტყვაში თქვა:

— მართალია, გაუმაძღრობისთვის ორივე დასაჭერი ვართ, მაგრამ, პატივცემულო მოსამართლე, გთხოვთ, ჩემს ცოლს აპატიოთ, თორემ ციხეშიაც რაღაც დანაშაულს ჩამადენინებს!

* * *

ნაქმეფარმა ხალხმა სარდაფიდან ძლივს ამოიტანეს სული.

— ღმერთო მომკალი, რავა ვირთხებივით ამოგანგულხართ?! — შეიცხადა მათ დანახვაზე მეზობლის ქალმა, — სად იყავით ამისთანა ტალახში?

— ქალბატონო, მაგნოლიასთან გახლდით! ბოდიში მოგვიხადა, მთელი ძვირფასეულობა სარდაფში გადავმალე და შინაურებისთვის იქ ვიხდი დღეობასო!

გამოცანა

რომ შეხედავ, გეგონება
ქეთილი და მშრომელია...
ხალხს აჩვენებს, თითქოს
ხვისთვის
მუდამ კარგის მდომელია.
ყველგან რეკავს, ყველგან მიდის,
საწყობებში მძრომელია.
უცბად აჩენს, რაც რომ ხვისთვის
თითქმის მიუწვდომელია.
ზოგჯერ ნახავთ მას ქუჩაში,
„საქმოსნებში“ მდგომელი,
თავისთავზე სასწაული
რამეების მთხრობელია.
ერთგულია თავის „საქმის“.
მუდამ დაუცხრომელია,
საკმარისად აგიწერეთ,
ახლა მიხვდით, რომელია!

გიგლა გახტაძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ამას ახლა ეს ცოდნა, მუცლის მაგივრად, თავში რომ ჰქონოდა!..



თავს სხვაზე მაღლა აყენებს,
რითაც დიდ ზიანს აყენებს.

* * *

როდესაც სიტყვით გამოდის,
ხალხი ქუჩაში გამოდის.

* * *

ერთ ხელმძღვანელზე ამბობდნენ:
აქვსო მაგარი წელი...
ახლა ზის საპატიმროში,
ვადა — თხუთმეტი წელი!

* * *

ძღვენი რომ აღარ მოსდის, —
ელეთ-მელეთი მოსდის.

* * *

გული ლხენისგან ხურდა.
ნოქარმა მომცა ხურდა!

* * *

ბოიქვნელმა უფროსს გაუგო
და თავი ფეხქვეშ გაუგო.

* * *

ორი „პოლიტრა“ დალია
და იქვე სული დალია.

* * *

ნამუსზე ხელი აიღო,
ადგა და ქრთამი აიღო.

* * *

სახლში ნაქურდალი მოაქვს,
ამაყობს და თავი მოაქვს.

* * *

იმან ფულები ჩაუწყო
და ამან საქმე ჩაუწყო.

* * *

დაცალა სამი ხელადა
და გადაიქცა ხელადა,
ატეხა აყალმაყალი,
დააპატიმრეს ხელადა.

* * *

თავს რევიზია დაესხა
ე. ი. თავს ლაფი დაესხა.

* * *

ღონე და მკლავი ერჩის.
გამვლელ-გამომვლელს ერჩის.

* * *

ვერავის რომ ვერ ერევა,
თვალებზე ცრემლი ერევა.

* * *

როცა უფროსი ეცემა,
სუყველას თვალში ეცემა.

* * *

ოჯახს ვეღარ მოეკიდა,
გულზე ცეცხლი მოეკიდა.

ბ. მ.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლოქვაძე (პ/მგ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიუნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე), ნ. უგელიძე, ვ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ სტირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. რედაქტორის მოადგილე ბ. ბერიძე. ⊙ ტექნიკური რედაქტორი ვ. ქუხალავიანი, ⊙ თბილისი, 93-10-78. ⊙ საქართველოს პროსპექტი № 42, ტელ. 99-76-69 რედ. მოადგილის 93-49-32 საერთო განყ. ⊙ გადაეცა საწყობად 13/VIII-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/IX-73 წ. ⊙ ქაღალდის ზომა 70X108 1/8. ფიზიკური ნახევრადი ⊙ ფურცელი 1,4. ⊙ საქართველოს ა.კ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. საერთაშორისო-საგამომცემლო თანახი 1,4 ⊙ საქართველოს კ.კ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ⊙ ТБИЛИСИ САТИРИКО-ЮМОРИСТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ «НИАНГИ». ⊙ ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ. ⊙ ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ, ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14.

7
1973
73-670

ინგლისის ტრაულერები ისლანდიის ტერიტორიულ წყლებში უკანონო თევზჭერას ეწევიან.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომმიძისა

აპრძალული თევზიც გემრიელია!